პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 248 (19090) შაბათი, 27 ოქტომბერი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

შესანიშნავი შრომითი გამარჯვება

ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და მოსამსახურეებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, რკინიგზელ მეომრებს, მაგისტრალის მშენებლობისა და ექსპლოატაციის ყველა მონაწილეს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა უდიდესი კმაყოფილებით მიიღო ცნობა, რომ წარმატებით შესრულდა პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილება, ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალზე მთავარი ლიანდაგის დაგების და მაგისტრალის მთელ სიგრძეზე მატარებლების სამუშაო მოძრაობის გახსნის შესახებ. გულითადად ულოცავთ მშენებლობის ყველა მონაწილეს ამ შესანიშნავ შრომით გამარჯვებას. ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის აგება დამსახურებულად შევა საბჭოთა ხალხის უთვალსაჩინოეს მიღწევათა მატიანეში.

ახალ მძლავრ სატრანსპორტო არტერიას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკის განვითარებისათვის, ამ რეგიონებში დიდი ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსების შექმნისათვის, სახალხო-სამეურნეო ბრუნვაში მდიდარი ბუნებრივი რესურსების მოქცევისათვის.

ათი წლის მანძილზე ბამის ტრასაზე მკაცრ პირობებში მიმდინარეობდა უზარმაზარი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. კლდეებში, ტაიგაში, ჭაობიან და მარადი გაყინულობის ადგილებში გაყვანილია 5 ათას კილომეტრზე მეტი მთავარი და სადგურის რკინიგზის ლიანდაგები, აშენებულია დაახლოებით 4200 ხიდი და სხვა ხელოვნური ნაგებობა. მაგისტრალის ობიექტებთან ერთად მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების შეფი ორგანიზაციების ძალებით შენდება ახალი ქალაქები და კეთილმოწყობილი დაბები, იქმნება პირობები ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში კადრების დასამკვიდრებლად.

მაგისტრალი შენდება და მუშაობს. მაგისტრალით შემადგენლობებს გადააქვთ ქვანახშირი და ხე-ტყე, საშენი მასალები, ტექნიკა და სხვა ტვირთი.

ამურის კომსომოლსკის, მაგნიტკის, ტურქსიბისა და ბრატსკის სახელოვანი ტრადიციების ერთგული ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი ახალგაზრდულმა გულისხმამ ჩამოიყვანა ლენინური კომკავშირის მთავარ მშენებლობაზე. ისინი აქ პროფესიულ ოსტატობასაც იძენენ და ცხოვრების ჩინებულ სკოლასაც გადიან.

მშენებლობაზე მოკლე ხანში ჩამოყალიბდა ერთსულოვანი მრავალეროვანი კოლექტივი, რომელსაც ახლა ძალა შესწევს გადაწყვიტოს ურთულესი ამოცანები. ყველას, ვინც მაგისტრალს აშენებს, უფლება აქვს იამაყოს იმით, რომ ამ საყოველთაო-სახალხო საქმის თანაზიარია.

ბამს მთელი ჩვენი ქვეყანა აშენებს. ბევრი რესპუბლიკა, მხარე და ოლქი, ათასობით საწარმო აწვდიან მას მანქანებსა და მექანიზმებს, რელსებსა და შპალებს, სამშენებლო კონსტრუქციებს, ასრულებენ სხვა მნიშვნელოვან შეკვეთებს. მაგისტრალის გაყვანაში დიდი წვლილი შეაქვთ სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ინსტიტუტებს. მაგისტრალზე ბინების, სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისათვის დიდ მუშაობას ეწევიან შეფი ორგანიზაციები.

ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებელთა თვალსაჩინო მიღწევები საპატიოა ხაბაროვსკის ოლქის, ბურიატეთის და იაკუტიის ასს რესპუბლიკების, ამურის, ირკუტსკისა და ჩიტის ოლქების პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, მშენებლობის სამეურნეო ხელმძღვანელების დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგია.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ თქვენ კვლავაც მთელი ძალ-ღონით იშრომებთ ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობის დასამთავრებლად. მაგისტრალის ზონაში სასარგებლო წიაღისეულის უმდიდრესი მარაგის უსწრაფესი გამოყენებისათვის საჭირო ახალი სამრეწველო ობიექტების ასაგებად, ახალ წარმატებებს მიაღწევთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობას, წარმატებებს, სოციალისტური ვალდებულებების, 1984 წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებების შესრულებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

დამკვრელურად დავამთავროთ წელი!

მილიონობით საბჭოთა ადამიანი ამ დღეებში უდიდესი ინტერესითა და ყურადღებით სწავლობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმის მასალებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც მთელი თავისი არსით მიზნად ისახავენ ჩვენი ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სფეროს — სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ განვითარებას, რაზეც უშუალოდ არის დამოკიდებული ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად ქალაქისა და სოფლის შრომით კოლექტივებში ახალი ძალით იშლება სოციალისტური შეჯიბრება დევიზით „დამკვრელურად დავამთავროთ წელი!"

ამ წლის საფინიშო ეტაპი, აგრეთვე მიმდინარე ხუთწლედის მომავალი დამამთავრებელი წელი დროის მიხედვით ემთხვევა სკკპ მორიგი XXVII ყრილობისათვის პარტიისა და ხალხის პრაქტიკული მზადების პერიოდს. „ემზადება რა ყრილობისათვის, — აღნიშნა პლენუმზე ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ, — პარტია მშრომელთა მთავარ ძალებს აპყრობს მიმდინარე წლისა და მთელი ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებას. დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიმდინარე წლის შედეგები ურიგო არ იქნება. სახალხო მეურნეობა კვლავ აჩქარებს ტემპს, უმჯობესდება ხარისხობრივი მაჩვენებლები, იზრდება საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონე".

წარმატებები წარმოების განვითარებაში პარტიის დიდი ორგანიზატორული მუშაობის, მასობრივი შეჯიბრების განვითარების შედეგია. მიმდინარე წლის დამდეგს ჩვენი ინდუსტრიის, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მრავალი შრომითი კოლექტივი აქტიურად გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას, რომ საგეგმო დავალებების დამატებით არანაკლებ ერთი პროცენტით გაეზარდათ შრომისნაყოფიერება და ნახევარი პროცენტით შეემცირებინათ პროდუქციის თვითღირებულება. წლის გასული ცხრა კვარტალის შედეგები მოწმობენ, რომ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, სვერდლოვსკის, ქვეყნის სხვა ქალაქებისა და რეგიონების ასობით კოლექტივი თავის დაპირებას პრაქტიკული საქმეებით განამტკიცებენ.

შრომითი, საგეგმო, სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცებისათვის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების სამეურნეო ხელმძღვანელების მეცადინეობა, წარმოებაში ორგანიზებულობისა და წესრიგის ამაღლების კურსი კარგ ნაყოფს იძლევა. სწორედ ამის მეობებით ამჟამად შესამჩნევად გაუმჯობესდა მუშაობა, მაგალითად, საქართველოს ბევრმა საწარმომ. მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება წლის პირველი ცხრა კვარტალის განმავლობაში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით რესპუბლიკაში თითქმის ხუთი პროცენტით გაიზარდა. ბევრი საწარმო, მათ შორის ისეთი დიდი საწარმოები, როგორიცაა თბილისის გაერთიანება „ელმავალმშენებელი", ასი პროცენტით ასრულებენ მომხმარებელთა შეკვეთებს. წარმატებით მუშაობენ ამჟამად უკრაინის კავშირის მრეწველობისა და ლატვიის ადგილობრივი ინდუსტრიის საწარმოები, სხვა დარგების კოლექტივები, რომლებიც ახორციელებენ დიდი მასშტაბის ექსპერიმენტს.

ამავე დროს მთელი რიგი საწარმოების სამეურნეო საქმიანობის სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს. ისინი წლიდაც თავის შესაძლებლობებთან შედარებით ცუდად მუშაობენ, ვერ ასრულებენ საწარმოო გეგმებს, უშვებენ მიწოდების დავალებებს, ზოგან კი საერთოდ არ ახსენებენ წლის დამდეგს ნაკისრი ვალდებულებები შრომის ნაყოფიერების ზეგეგმით გადიდების შესახებ. ბევრია ასეთი საწარმო სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის, ქიმიური მანქანათმშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებში, სსრ კავშირის ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობისა და სხვა სამინისტროებში. წლის დამდეგს ზოგიერთი კოლექტივი გვპირდებოდა, რომ გეგმებს ვადამდე შეასრულებდნენ, მაგრამ ია, დადგა დრო ანგარიში ჩაეგვაბარონ გაწეული მუშაობის შესახებ და ჩამორჩენილები ჩუმად არიან, ზოგჯერ კი ცდილობენ ცუდი მუშაობის მიზეზი სხვას გადააბრალონ.

ПРАВДА
26 ოქტომბრის მოწინავე

ზოგიერთ კოლექტივში წლის ფინიშზე წარმოქმნილი სიძნელეების ძირითადი მიზეზი იმით აიხსნება, რომ მათ სწორად, თანაბრად არ განაწილეს წლის დავალებები კვარტალების მიხედვით: პირველი ორი თვისათვის აიღეს შედარებით ადვილი გეგმები, ხოლო მთავარი სიძნელე ბოლო კვარტალისათვის მოიტოვეს. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ თავი მოეწონებინათ გეგმის გადაჭარბებით შესრულების მაჩვენებელი ციფრებით წლის დაწყების ეტაპზე, მიეღოთ პრემიები, ხოლო წლის დამლევს ეთხოვათ დავალებების კორექტირება. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, დარგების შტაბები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები მოწოდებული არიან აღკვეთონ კვარტალების მიხედვით დავალებების განაწილების ასეთი პრაქტიკა.

ალბათ, წლის ფინიშზე შრომის რიტმს ყველაზე დიდ ზიანს აყენებს შეფერხებები წარმოების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში. ხშირად ასე ხდება: მანქანათმშენებლებმა მეტალურგებს შეუკვეთეს ერთი სახეობის ფოლადის ნაგლინი, მისგან კი იღებენ მეორეს — უფრო მძიმეწონიანს. ასეთი ნაგლინისაგან დეტალი რომ დამზადდეს, საჭირო ხდება ბევრი ლითონი ბურბუშელად აქციონ, აუცილებელი დრო დაკარგონ სახელოო ნაწარმის გამოშვებისათვის. აქ თავიანთ დარგობრივ ინტერესებს მეტალურგები სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა აყენებენ.

საწარმოების ურთიერთმოქმედებისას სულ უფრო ხშირად ვხვდებით კუთხურობის ელემენტებს. ვთქვათ, ვოლოგდის ხე-ტყის დამამზადებლები, თავისი ოლქის მომხმარებლებისათვის მერქნის მიწოდების დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ, სამაგიეროდ, უშვებენ სხვა დარგების შეკვეთებს. სსრ კავშირის სამინისტროები, ადგილობრივი პარტიული ორგანოები, სამომარაგების მუშაკები მოწოდებული არიან მწვავე რეაგირება მოახდინონ თითოეულ ასეთ შემთხვევაზე, მკაცრად დასაჯონ კონკრეტული მუშაკები, რომლებიც უწესრიგოდ და კუთხურად უდგებიან საქმეს.

წლის ფინიშზე მკვეთრად იზრდება ტრანსპორტის მშრომელთა პასუხისმგებლობა ნედლეულისა და მზა პროდუქციის გადაზიდვის გეგმისათვის. მათი ამოცანაა შეასრულონ არა მარტო მთავარი ტვირთის გადაზიდვის დავალებები, არამედ მთელი მათი ნომენკლატურის მიხედვითაც. ვთქვათ, ბლოკსაწყობთმშენებლობის პროდუქცია რკინიგზელებს არა აქვთ მთავარი დავალებების სიაში, მაგრამ თუ ბლოკსაწყობებს სამწყობთ ქარხნიდან არ მიიტანენ, ქარხნის ჭიშკრიდან არ გამოვა არც ტრაქტორი, არც ავტომობილი, არც ელმავალი. სარკოვის ველოსიპედის ქარხანა ბოლო თვეებში არსებითად მუშაობდა საწყობისათვის, იქ დაგროვდა ორმოცი ათასზე მეტი მანქანა. ვეჭირობამ ქარხანას საკმაოდ დიდი ჯარიმა წარუდგინა ხელშეკრულების ჩაუშვებისათვის. ძირითადმა დამნაშავემ კი — რკინიგზამ, რომელმაც ჩაშალა კონტეინერებისა და ვაგონების მიწოდება, ქარხანას მიწოდების ჩაუშვებისათვის ჯარიმის მხოლოდ მცირე რაოდენობა გადაუხადა. მაშასადამე, სამეურნეო ურთიერთობა სამედო რომ იყოს, მისი დარღვევისათვის პასუხი უნდა აგონ კონკრეტულმა დამნაშავეებმა, ამ დღეებში მრავალი ქალაქი, რაიონი, შრომითი კოლექტივი გვატყობინებს წინასაოქტომბრო ვახტზე მიღწეულ შედეგებს. ახლახან გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებით ერთსულოვნად ქვეყნის მშრომელები ისწრაფვიან კიდევ უფრო წარმატებით შეასრულონ პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების წლის დავალებები, თავიანთი სოციალისტური ვალდებულებები. ყოველივე ამისაკენ მიმავალი გზა არის ახალი რეზერვების დაუცხრომელი ძიება, მათი საქმიანი გამოყენება, წარმოებისა და შრომის ტექნიკურ სრულყოფაზე დაყრდნობა, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცება. ყველგან ფართო მხარდაჭერის იმსახურებს შეჯიბრება დევიზით „დამკვრელურად დავამთავროთ წელი!"

გამოვიდა ბროშურად

გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის კ. უ. ჩერნენკოს ბროშურა „სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. 1984 წლის 23 ოქტომბერი".

ბროშურა გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საქტესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა მიმდინარე წლის ცხრა თვეში სსრ კავშირის მრეწველობის მუშაობის შედეგები. სხდომაზე აღინიშნა, რომ პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ყველა სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკამ შეასრულა. წარმოების მატებამ წლიური დავალებით გათვალისწინებული 3,8 პროცენტის ნაცვლად 4,1 პროცენტი შეადგინა და ძირითადად შრომის ნაყოფიერების ზრდის გზითაა მიღწეული. ამასთან პარტიული კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ყურადღება მიიპყრო იმას, რომ მთელი რიგი საწარმოები და გაერთიანებები გასულ თვეებში, მათ შორის სექტემბერში, თავიანთ შესაძლებლობებზე ნაკლებად მუშაობდნენ. აღინიშნა, რომ უსწრაფესად უნდა აღმოიფხვრას დაშვებული ჩამორჩენა 1984 წლის გეგმის განსახორციელებლად და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებათა შესასრულებლად. 1984 წლის იანვარ-სექტემბერში მრეწველობის მუშაობის შედეგების შესახებ ცნობა პრესაში გამოქვეყნდება.

პოლიტბიურომ განიხილა და მხარი დაუჭირა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებებს, რომელთა მიზანია უზრუნველყონ ჩვენს ქვეყანაში მანქანათმშენებლობის ავტომატიზაციის ამოცანათა გადაწყვეტისათვის საჭირო რიცხვული პროგრამული მართვის თანამედროვე სისტემების მაღალავტომატიზებული დიდსერიიანი წარმოების დაჩქარებული შექმნა.

მოიწონეს ერაყის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილესთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან თ. აზიზთან ამხანაგ ა. ა. გრომიკოს მოლაპარაკების შედეგები. ამასთან დაკავშირებით აღინიშნეს საბჭოთა კავშირ-ერაყის ურთიერთობის შემდგომი განვითარების დადებითი მნიშვნელობა, მათ შორის ეკონომიკის დარგში; ხაზი გაუსვეს საბჭოთა კავშირის პრინციპული პოზიციის უცვლელობას ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევისა და ერაყ-ირანის ომის შეწყვეტის საკითხებში, რაც შეესაბამება ორი ქვეყნის ხალხების საარსებო ინტერესებს.

პოლიტბიურომ განიხილა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის ინფორმაცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, ცენტრალური კომიტეტის მდივანთან კ. ჰაგერთან მისი საუბრის შესახებ, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ძმური თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას.

სხდომაზე მოიწონეს ამხანაგ ვ. ვ. გრიშინის ინფორმაცია იუგოსლავიაში სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის დელეგაციის მოგზაურობის შედეგების შესახებ, რომელიც მონაწილეობდა ფაშისტი დამპყრობლებისაგან ბელგრადის განთავისუფლების 40 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებებში.

მოისმინეს ამხანაგ ჰ. ა. ალიევის ინფორმაცია მოსკოვში გამართული საბჭოთა კავშირ-იაპონიის „მრგვალი მაგიდის" კონფერენციაზე იაპონიის საზოგადოებრიობის დელეგაციის ხელმძღვანელ ჯგუფთან შეხვედრის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილებანი აგრეთვე საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ სხვა საკითხზე.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ქვეყნის სასურსათო ფონდის სტაბილური ზრდის მიზნით მელიორაციის ხანგრძლივი პროგრამის, მელიორირებული მიწების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების შესახებ".

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული ქვეყანაში მიწების მელიორაციის ფართოდ განვითარების ღონისძიებათა თანამიმდევრული შესრულების შედეგად გაწეულია დიდი მუშაობა სარწყავი და დაშრობილი მიწების საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის, რაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისა და მიწათმოქმედებაზე არახელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების ზემოქმედების შენელების საიმედო ფაქტორია. შეიქმნა სარწყავი მიწათმოქმედების დიდი რაიონები ვოლგისპირეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში, სამხრეთ უკრაინასა და მოლდავეთში. დიდი მოცულობით წარმოებს სამელიორაციო სამუშაოები შუა აზიაში, ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და ყაზახეთში. ფართო ფრონტით ხორციელდება გადამეტტენიანებული მიწების დაშრობის სამუშაოები რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადაგიან ზონაში, პოლესიეში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და შორეულ აღმოსავლეთში. სარწყავი და დაშრობილი სავარგულების საერთო ფართობმა 33 მილიონ ჰექტარს მიაღწია.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მელიორირებული სავარგულებიდან მიღებული მიწათმოქმედების პროდუქციის წილი. ამ მიწებზე აწარმოებენ მთელ ბამბასა და ბრინჯს, ბოსტნეულის ორ მესამედს, ხილისა და ყურძნის დაახლოებით ნახევარს, უხეში და წვნიანი საკვების მეოთხედს. მელიორირებული მიწებიდან მიღებული მემცენარეობის პროდუქციის ხვედრითი წილი საზოგადოებრივ სექტორში მისი წარმოების საერთო მოცულობაში 1965 წლის 20 პროცენტიდან 1983 წლის 34 პროცენტამდე გაიზარდა.

ამავე დროს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და სტაბილური მოსავლის მოწევისათვის სარწყავი და დაშრობილი მიწების დიდი შესაძლებლობებს ჯერ კიდევ მთლიანად ვერ ვიყენებთ, მიწების მელიორაციისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებანი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები კი საჭირო უკუგებას არ იძლევიან.

მთელ რიგ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა მელიორირებულ მიწებზე კვლავ მეტად მცირეა. ამ მიწებზე ნათესებში მინერალური სასუქები საკმაო მოცულობით არ შეაქვთ. არ არის სასოფლო-სამეურნეო კულტურების შესაბამისი ჯიშები. ბევრი მეურნეობა, რომლებსაც სარწყავი და დაშრობილი მიწების დიდი ფართობები აქვთ, მთლიანად არ არის უზრუნველყოფილი საჭირო სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო ტექნიკით. დასახვეწია გაუმჯობესებულ სავარგულებზე სათესი ფართობების სტრუქტურა.

სამელიორაციო მშენებლობაში ურიგდებიან კაპიტალდაბანდებათა დაქსაქსვას, ვერ იცავენ მშენებლობის ნორმატიულ ვადებს, ნელა იზრდება სამელიორაციო სისტემების ტექნიკური სრულყოფის სამუშაოთა მოცულობა, ჩამორჩება ახალი მელიორირებული მიწების ათვისებელი მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო მოწყობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ხაზს უსვამენ, რომ სასურსათო პროგრამის თანამიმდევრული რეალიზაცია მოითხოვს აუყვანოთ მიწების მელიორაცია თვისებრივად ახალ დონეზე, უკეთ გამოვიყენოთ მისი შესაძლებლობანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისა და მიწათმოქმედების სტაბილურობის ამაღლებისათვის. შექმნილი გამოცდილება, შექმნილი საწარმოო ბაზა, მელიორატორთა სტაბილური კოლექტივების არსებობა საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ ამ დარგის განვითარების უფრო რთული და დიდი მასშტაბის ამოცანები.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მელიორაციის შემდგომი განვითარება, მელიორირებული მიწების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება მიაჩნიათ ქვეყნის სასურსათო ფონდის გადიდების უმნიშვნელოვანეს საერთო-სახელმწიფო ამოცანად.

საჭიროდ არის მიჩნეული განხორციელდეს იმ ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც საშუალებას მოგვცემს:

ეფექტიანად გამოვიყენოთ სარწყავი და დაშრობილი მიწები, კვლავაც კომპლექსურად განვავითაროთ მელიორაცია გაუმჯობესებული სავარგულების ახალი დიდი მასივების შექმნის, კულტურტექნიკური სამუშაოების შესრულების, მელიორირებული მიწების ამთვისებელ მეურნეობათა საწარმოო და სოციალური ბაზის შექმნის გზით;

გავზარდოთ მეთორმეტე ხუთწლედში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სარწყავ და დაშრობილ მიწებზე მემცენარეობის პროდუქციის ძირითად სახეობათა წარმოება, ამასთან 1990 წელს მარცვლეულის წარმოება ამ მიწებზე გავადიდოთ 32,3 მილიონ ტონამდე, მათ შორის სიმინდისა — 9,1 მილიონ ტონამდე, საკვებისა — 80 მილიონ ტონა საკვებ ერთეულამდე და სარწყავ მიწებზე ბოსტნეულისა — 22,5 მილიონ ტონამდე;

საექსპლოატაციოდ გადავცეთ 1986-1990 წლებში სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე 3340 ათასი ჰექტარი სარწყავი და 3600

(დასასრული მე-2 გვ.).

მოლაპარაკება კრემლში

სურათზე: მოლაპარაკების დაწყების წინ.

საქტეს-სატაჟის ტელეფოტო.

26 ოქტომბერს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოსა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჟ. ბატმუნხის მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ვ. რომანოვი; მონღოლეთის მხრივ — მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. მოლომჟამცი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ც. ნამსრაი.

კ. უ. ჩერნენკომ მონღოლ ამხანაგებს ესაუბრა, თუ რა საქმიანობას ეწევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის. აღინიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, სახალხო მეურნეობის მართვის სისტემის სრულყოფის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ამ საფუძველზე საბჭოთა ხალხის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებათა სულ უფრო სრული დაკმაყოფილების უზრუნველყოფისათვის.

ჟ. ბატმუნხმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ხორციელდება მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებანი, რა ორგანიზატორულ და იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას ეწევა პარტია მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეში, მერვე პლენუმის შემდეგ. შეხო შექმნილი ეკონომიკური პოტენციალის უფრო ეფექტიანი გამოყენების, სოფლის მეურნეობის სტაბილური აღმავლობის ღონისძიებებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ყოველმხრივ დახმარებას სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში, რომელთა შესასრულებლად შრომობს მონღოლი ხალხი.

მოლაპარაკების დროს განიხილეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში [illegible] ების, ქვეყნებისა და ხალხების ურღვევი ძმური კავშირისა და მეგობრობის ყოველმხრივი განმტკიცების კურსს.

საერთაშორისო პრობლემების განხილვის დროს აღინიშნა იმპერიალიზმის, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე რეაქციული ძალების პოლიტიკის სულ უფრო მზარდი საშიშროება. მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს აზიის ვითარებას. განაცხადეს, რომ აუცილებელია განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი მისი გაჯანსაღებისათვის, რასაც ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ცნობილ წინადადებათა რეალიზაცია.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა ძმური მეგობრობისა და გულითადობის, ყველა განხილულ საკითხზე სრული ურთიერთგაგების ვითარებაში.

მოლაპარაკებაზე იყვნენ აგრეთვე: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ო. ბ. რახმანინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი,

(დასასრული მე-2 გვ.).

საოქტომბრო ვახტზეა რესპუბლიკა

თბილისი. სტალინის სახელობის ელექტროვაგონმშენებელ ქარხანაში შეჯამდა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. „ელექტროვაგონმშენებელი ქარხნის საუკეთესო ოსტატის" წოდება მიენიჭა 100 კაცს. განსაკუთრებით გამოირჩინა თავი კომუნისტური შრომის დამკვრელმა, № 1 ელექტრომანქანური საამქროს მუშამ გ. სოზაშვილმა. მან ქარხანაში პირველმა უპატაკა სამშობლოს პირადი ხუთწლიანი გეგმის შესრულება. გ. სოზაშვილმა შრომის ყველა ვეტერანს მოუწოდა ვადამდე შეასრულონ პირადი ხუთწლიანი დავალება.

რუსთავი. მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქრო 25 ოქტომბერს წლის დამდეგიდან დაზოგილი ნედლეულითა და სათბობით მუშაობდა და 500 ტონამდე ზეგეგმითი ლითონი გამოუშვა. საწარმოს კოლექტივმა სამშობლოს უპატაკა სათბობ-ნედლეული მასალების ეკონომიის წლიური ვალდებულების ვადამდე შესრულება.

მეფოლადეები მუშაობენ თბოდატვირთვის სპეციალური რეჟიმის რუკებით. მარტენის საამქროში ღუმელების სწორი ექსპლოატაციის მაგალითს იძლევიან სოციალისტური შრომის გმირის ო. ლომიძის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გ. ფანჩვიძის, ო. წითლიძის და ვ. გიგიბერიას ბრიგადები. მარტო მათ წლის დამდეგიდან 800 ტონა სათბობი დაზოგეს.

მეტალურგებმა ივალდებულეს წლის დამლევამდე კიდევ დაზოგონ სულ ცოტა 1000 ტონა პირობითი სათბობი.

ლანჩხუთი. (საქ. კორ.). ჩაის ფაბრიკის საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა (გენერალური დირექტორი — ა. კილაძე) ჩინებული შედეგები მოიპოვა — განვლილ 9 თვეში გამო- [illegible]

[illegible]

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

ათასი ჰექტარი დაშრობილი სავარგულები, შევასრულოთ 5550 ათას ჰექტარ ფართობზე მოქმედი სარწყავი სისტემების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სამუშაოები, აგრეთვე კულტურტექნიკური სამუშაოები 8300 ათას ჰექტარ მიწებზე, რომლებიც არ საჭიროებენ დაშრობას, განვახორციელოთ 15,85 ათასი კილომეტრი სიგრძის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მაგისტრალური წყალსადენების მშენებლობა და რეკონსტრუქცია;

გავაფართოოთ 2000 წლისათვის სარწყავი მიწების ფართობი 30-32 მილიონ ჰექტარამდე და დაშრობილი მიწებისა — 19-21 მილიონ ჰექტარამდე და ამ მიწებზე მარცვლეულის წარმოება გავზარდოთ 55-60 მილიონ ტონამდე, მათ შორის სიმინდისა — 18-20 მილიონ ტონამდე, საკვებისა — 115-125 მილიონ ტონა საკვებ ერთეულამდე; გადავანაწილოთ 1986-2000 წლებში წყლის რესურსები სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის;

რაციონალურად და მომჭირნედ გამოვიყენოთ წყლის რესურსები, დავიცვათ ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები დაშრეტისა და გაჭუჭყიანებისაგან, თავიდან ავიცილოთ სამელიორაციო ღონისძიებებით გამოწვეული ზიანი ცხოველთა სამყაროს, განსაკუთრებით თევზის მარაგს, შევინარჩუნოთ წყალჭაობიანი და სხვა ტერიტორიები, რომლებსაც დიდი ეკოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

...ლოვანი ბალახების, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ხილისა და კენკროვანი კულტურების და ყურძნის უხვმოსავლიანი ჯიშების შექმნას. ქვეყნის სხვადასხვა ზონისათვის შეიმუშაონ და დანერგონ ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას იძლევიან მოვიყვანოთ წელიწადში საკვები კულტურების ორ-სამი მოსავალი და მივიღოთ 10-15 ტონა საკვები ერთეული ჰექტარზე;

დაამთავრონ ძირითადად 1990 წლისათვის არსებული სარწყავი მიწების კაპიტალური დაგეგმვის, მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესების, სარწყავი სისტემების გარდაქმნისა და მათი წყალუზრუნველყოფის ამაღლების სამუშაოები;

რუსეთის სფსრ არაშავმიწანიადგიან ზონაში, შორეულ აღმოსავლეთში, პოლესიეში, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, ლიტვის სს რესპუბლიკაში, ლატვიის სს რესპუბლიკასა და ესტონეთის სსრ რესპუბლიკაში გააფართოონ საკვებისა და მარცვლეულის წარმოების გასადიდებლად კულტურტექნიკური ღონისძიებების, მინდვრების, წვრილკონტურიანობის აღმოფხვრის, მჟავე ნიადაგების გაკირიანებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაკულტურების სამუშაოები.

მიღებულია მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოების წინადადება 1990 წელს სარწყავ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისა და ამავე დროს 6490 ათას ჰექტარ ფართობზე მოსავლის დაპროგრამების შესახებ.

...

მთიანეთის ...

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში სარწყავი მიწების ფართობი გავზარდოთ 0,8-0,9 მილიონ ჰექტარამდე. განვავრცოთ მიწების ათვისება დანგარის სტეპში, ბეშკენთის ველზე და ყიზილის მასივზე. განვახორციელოთ ქვემოკაფირნიგანის და ბოხტარის წყალსაცავების მშენებლობა და გავაფართოოთ სარწყავ სისტემათა გარდაქმნის სამუშაოები.

სომხეთის სს რესპუბლიკაში ...

... გაზების გამოყენების, აგრეთვე ზედაპირული რწყვის კომპლექსური მექანიზაციის გზით;

გააფართოონ წვეთოვანი, სინქრონულ-იმპულსური და ქარჩხლური რწყვის სარწყავი სისტემების, რკინა-ბეტონის სადაწნეო, აზბესტცემენტისა და პლასტმასის მილების გამოყენებით დახურული სარწყავი სისტემების, პლასტმასის დრენაჟიანი დასაშრობი სისტემების, მიმტუმბი ბლოკურ-კომპლექსური სატუმბო სადგურებისა და ...

... მინისტროებმა და უწყებებმა ეძლევათ დავალებანი მიწების მელიორაციის, წყალსამეურნეო სისტემების რემონტისა და ექსპლოატაციის სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო ახალი მანქანებისა და მოწყობილობის შემუშავებისა და სერიული წარმოების ათვისების შესახებ. გათვალისწინებულია, კერძოდ, შექმნან და აწარმოონ ახალი სამელიორაციო შასი, მძლავრი დრენაჟსაწყობები, სკრეპერები, ნიადაგსაფხვიერებ...

... პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო ორგანოები, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა მშრომელი უფრო აქტიურად უნდა ჩაებან მოწინავე ტექნოლოგიების ... კულტურის ამაღლებისათვის, მელიორირებული მიწების გამოყენების ეფექტიანობის გადიდებისათვის მარცვლეული, საკვები და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და სტაბილური მოსავლის მოწევისათვის ბრძოლაში.

მოლაპარაკება კრემლში

(ტასსი)

...

ბურმადამი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე რ. ბატა.

• • •

იმავე დღეს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი შეხვდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ჟ. ბატმუნხს.

ნ. ა. ტიხონოვმა და ჟ. ბატმუნხმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია ორივე ქვეყნის საშინაო განვითარების მიმდინარეობის, სკკპ XXVI ყრილობისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVIII ყრილობის მიერ დასახული ღონისძი...

... ფუძეული და ... ნეო საქმიანობის მნიშვნელოვან სფეროებს.

მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს 1986-1990 წლების პერიოდში თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებს და განიხილეს სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციასთან დაკავშირებული საკითხები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ორი ქვეყნის ყოველმხრივი ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოება და გაღრმავება, მისი ეფექტიანობის ამაღლება და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში შექმნილი ეკონომიკური პოტენციალის ზრდა.

აღინიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობას მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მსუბუქი, კვებისა და სამთომომპოვებელი ...

ქუთაისი. 26 ოქტომბერი (საქინფორმის სპეც. კორ). რესპუბლიკის მეცნიერ იურისტთა შეხვედრის მონაწილენი განიხილავენ საქართველოს სს რესპუბლიკაში საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების პრობლემებს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პირობებში სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. იგი დღეს გახსნა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პოლიტგანა...

...

...აჭარის, სამხრეთ ოსეთის, რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რეგიონების პრაქტიკოსი იურისტები, საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, უმაღლესი სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკები, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიცი...

მკიცე შემობრუნება პრაქტიკისაკენ

მეცნიერ იურისტთა პირველი შეხვედრა ქუთაისში

ის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის მასწავლებლები და მშენებლები.

მეცნიერმა იურისტებმა გადაიღეს ისტორიკოსთა ბორჯომის ტრადიციული შეხვედრების გამოცდილება, რომელიც ეწყობა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით. ამ შეხვედრების (მათ კი გააგრძ...

...

... კვლევის კოორდინაცია პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების განხორცი...

...ელებისათვის. რესპუბლიკის მეცნიერები აქტიურებენ მეცნიერულ ძიებას, ყურადღებას მიაპყრობენ ქვეყნის წინაშე მდგომ საკვანძო პრაქტიკულ ამოცანებს.

...

პირველ პლენარულ სხდომაზე განიხილეს მართლშეგნების პრობლემები და სამართლებრივი აღზრდის ამოცანები სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით, სოციალისტური სამართლის როლი დემოგრაფიული ...

პროცესების გააქტიურებაში, საბჭოთა სამართლის როლი სასურსათო პროგრამის განხორციელებაში, ლოთობასთან და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის სოციალურ-ეკონომიკური საკითხები.

შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ...

... მეცნიერული 1981-1985 წლების საკოორდინაციო გეგმის შესრულების მიმდინარეობას, შეიმუშავებენ რეკომენდაციებს მეცნიერული კვლევის კოორდინაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

პარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა ამხ. ქ. ვ. კამანძე გაათავისუფლა პარტიის საქარხნო რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნად არჩევასთან დაკავშირებით.

პარტიის ქალაქ თბილისის საქარხნო რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ბ. შ. შოშიტაიშვილი, რომელიც საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია.

(საქინფორმი).

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქარხნო რაიონული საბჭოს სესია

გაიმართა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქარხნო რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სესიამ ამხ. ბ. შ. შოშიტაიშვილი გაათავისუფლა საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან პარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის პირველ მდივნად არჩევასთან დაკავშირებით. საქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ტ. ვ. ერელაძე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპექტორად მუშაობდა.

სესიაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია.

(საქინფორმი).

მეცნიერების კოსმოსური მწვერვალები

237 დღე-ღამის პილოტირებული კოსმოსური ფრენის დამთავრებისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის

საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ ახალი დიდი წარმატებით აღნიშნა ხუთწლედის მეოთხე წელი. ყაზახეთის სტეპში „სოიუზ ტ-11" ხომალდის დასაშვები აპარატის დაჯდომით დამთავრდა „სალუტ-7" — „სოიუზ" სამეცნიერო კომპლექსში ყველაზე ხანგრძლივი ორბიტული კვლევის პროგრამა. მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გამოიყენებენ კოსმონავტების ლ. დ. კიზიმის, ვ. ა. სოლოვიოვისა და ო. ი. ატკოვის მიერ განხორციელებული კვლევისა და ექსპერიმენტების შედეგებს.

ამ უმაღლესი ფრენის შედეგებს მიეძღვნა პრესკონფერენცია, რომელიც საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გაიმართა 25 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში. პრესკონფერენცია გახსნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ს. ა. კუზნეცოვმა, რომელმაც სიტყვა მისცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ა. პ. ალექსანდროვს. მეცნიერმა გულთბილად მიულოცა ეკიპაჟს დიდი მუშაობის დამთავრება და აღნიშნა მისი დიდმნიშვნელოვანი როლი საბჭოთა კოსმოსურ პროგრამაში, რომლის ერთ-ერთი ნაწილია მუდმივმოქმედი ორბიტული სამეცნიერო სადგურების შექმნა.

ეკიპაჟის მომზადებისა და მათ მიერ ფრენის პროგრამის შესრულების თავისებურებებზე ესაუბრა დამსწრეთ სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ლ. დ. კიზიმი.

ჩვენს ეკიპაჟში მთელი 237 დღე-ღამის მანძილზე სუფევდა სრული ურთიერთგაგება, საქმის წარმატებით საერთო დაინტერესება, გულითადობა და მეგობრული ურთიერთდახმარება, — თქვა მან. — კვლევის პროგრამა შედგენილი იყო „ბლოკური" პრინციპით, ანუ ყოველი სამეურნეო მიმართულების მიხედვით მუშაობა სრულდებოდა დროის შედარებით ხანგრძლივი შუალედის მანძილზე. ეს საშუალებას გვაძლევდა ჩავწვდომოდით ექსპერიმენტების აზრს, გაგვეანალიზებინა მიღებული შედეგები და შეგვეტანა საჭირო შესწორებები.

დასასრულ მეთაურმა ეკიპაჟის სახელით დიდი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას ეკიპაჟის შრომის მაღალი შეფასებისათვის, სამშობლოს საპატიო ჯილდოებით მისი წევრების დაჯილდოებისათვის.

მიკროფონთანაა „სალუტ-7" სადგურის ბორტინჟინერი ვ. ა. სოლოვიოვი. იგი დაწვრილებით შეეხო სადგურში გაწეულ ექსპერიმენტულ და სამეცნიერო მუშაობას, უწოდა მას ნამდვილი ლაბორატორია მომავალი მუდმივმოქმედი კოსმოსური სადგურების სისტემებისა და აგრეგატების გამოცდისათვის.

სახალხო მეურნეობის სპეციალისტების განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია, თქვა მან, „გორიზონტის" და „შავი ზღვის" ექსპერიმენტებმა, რომლებშიც მონაწილეობდნენ მოძმე სოციალისტური ქვეყნების სპეციალისტები. პირველის მიზანი იყო დედამიწის აეროკოსმოსური კვლევის მეთოდების სრულყოფა. ამისათვის გამოიყენებოდა ორიგინალური ზუსტი აპარატურით აღჭურვილი თვითმფრინავ-ლაბორატორიები.

როგორც კოსმონავტმა თქვა, სადგურიდან გადაღებულია დედამიწის ზედაპირის გამოსახულების ათასობით კადრი. ახლა კოსმოსური გადაღების მასალებით სარგებლობს ქვეყნის 800-ზე მეტი ორგანიზაცია.

ვ. ა. სოლოვიოვმა აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი პერსპექტივა აქვს ღია კოსმოსში გასვლის დროს შესრულებულ სამონტაჟო და აღდგენით სამუშაოებს. ასეთი სამუშაოები შემდგომში ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს ორბიტული სადგურების ექსპლოატაციისას, თქვა კოსმონავტმა.

— ფრენის დროს ჩემი მუშაობა პირობითად შეიძლება გაიყოს ორ ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებად — სამედიცინო კონტროლი და სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევები და ექსპერიმენტები, — თქვა „სალუტ-7" სადგურის ინჟინერ-მკვლევარმა ო. ი. ატკოვმა. — საბოლოო ანგარიშით ამ მიმართულებებით მუშაობის ამოცანა იყო ფრენის დროს ეკიპაჟის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება და ადამიანის ორგანიზმზე კოსმოსში ხანგრძლივი ყოფნის გავლენის შესახებ ინფორმაციის შეგროვების გაგრძელება.

— დიდი მუშაობა მოგველის ფრენის დროს მიღებული მონაცემების საგულდაგულო შესწავლისათვის, — თქვა დასასრულ ო. ი. ატკოვმა. — ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევა, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობს კოსმოსური ტრასებით გულდაჯერებულ წინსვლას.

შემდეგ კოსმონავტებმა, მეცნიერებმა და სპეციალისტებმა პასუხი გასცეს ჟურნალისტთა კითხვებს.

(საქდესი).

26 ოქტომბერი

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

საქდესი

სოციალისტურ ქვეყნებში

● ვიეტნამი

დიდი ოქტომბრის აღსანიშნავად

ჰანოი. შავ მდინარეზე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის „ჰოაბინის" მშენებელი ინტერნაციონალური კოლექტივი თვალსაჩინო შრომითი წარმატებებით ხვდება დიდი ოქტომბრის დღესასწაულს. ვიეტნამელი მუშებისა და საბჭოთა სპეციალისტების სოციალისტური შეჯიბრება ვიეტნამის სახალხო მეურნეობის უპირველესი მშენებლობის წლისთავის აღსანიშნავად ტრადიციული გახდა. წელს მშენებლებმა ვადამდე შეასრულეს ათი თვის გეგმა, დაამთავრეს კომპლექსის უმნიშვნელოვანესი ობიექტების აგება.

ჰიდროელექტროსადგური „ჰოაბინი" საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის ერთ-ერთი ობიექტია, რომლის აშენებაც დასახულია საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გრძელვადიანი პროგრამით, რომელსაც ხელი მოაწერეს შარშან. მან ორმხრივი ურთიერთობა ახალ, უფრო მაღალ დონეზე აიყვანა, ამასთან დიდი წვლილი შეაქვს ვიეტნამის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საქმეში.

● პოლონეთი

საბჭოთა მედიცინის დღეები

ვარშავა. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში დაიწყო საბჭოთა მედიცინის ტრადიციული დღეები. ეს დღეები ყოველთვის შესაძლებლობას აძლევს ორი მოძმე ქვეყნის სპეციალისტებს ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, განიხილონ თანამშრომლობის შემდგომი მიმართულებანი ჯანმრთელობის დაცვის დარგში. საბჭოთა დელეგაცია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის ო. შჩეპინის მეთაურობით გაეცნობა პოლონეთის დედაქალაქის, აგრეთვე კრაკოვის, ლოძის, გდანსკის, პოზნანის სამეცნიერო-კვლევით და სამკურნალო ცენტრებს. საბჭოთა სტუმრები მონაწილეობას მიიღებენ დისკუსიებში, წაიკითხავენ ლექციებს, პრაქტიკულად უჩვენებენ თავიანთ გამოცდილებასა და ცოდნას.

შეხვედრის მონაწილეები აღნიშნავენ სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მედიკოსთა ნაყოფიერ თანამშრომლობას, უწინარეს ყოვლისა კარდიოლოგიაში, ონკოლოგიაში, აგრეთვე კადრების მომზადებასა და სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლაში.

● ბულგარეთი

ინერგება ახალი ფორმა

სოფია. სახალხო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის ახალ ფორმაზე გადავიდა პომორიის ლ. ი. ბრეჟნევის სახელობის აგროსამრეწველო კომპლექსის კოლექტივი. აქ შეიქმნა ახალი ტიპის 13 სპეციალიზებული ბრიგადა, რომლებიც ძირითადი საწარმოო ერთეულები გახდნენ.

მეურნეობაში ლიკვიდირებულია დუბლირებული სამმართველო რგოლები: ბრიგადები ექვემდებარებიან უშუალოდ კომპლექსის ხელმძღვანელობას. მათ მინიჭებული აქვთ როგორც საწარმოო, ისე ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ზუსტად არის რეგლამენტირებული მათი უფლებები და მოვალეობები, გახსნილი აქვთ თავიანთი ბანკის ანგარიში.

გენერალური ასამბლეის 39-ე სესიაზე

გულისწყრომით გმობენ სახელმწიფო ტერორიზმს

ნიუ-იორკი. ცენტრალური ამერიკის სუვერენული ქვეყნების მიმართ სახელმწიფო ტერორიზმის რეიგანისეულ პოლიტიკას გულისწყრომით გმობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 39-ე სესიაზე, რომელიც შეუდგა ამ რეგიონში შექმნილი ვითარების განხილვას. ცენტრალურ ამერიკაში არსებული ვითარება საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უშიშროებასა და სამშვიდობო ინიციატივებს — ეს საკითხი შეიტანეს გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში ნიკარაგუის წინადადებით, რომელიც ღრმად არის შეშფოთებული ვაშინგტონის მილიტარისტული კურსის გამო.

ნიკარაგუის დელეგაციამ სესიის განსახილველად შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც მოითხოვს უპირობოდ და დაუყოვნებლივ შეწყვიტონ რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული მუქარის, მტრული აქციებისა და გამოხდომების პრაქტიკა. ნიკარაგუა მხარს უჭერს აგრეთვე კონფლიქტის დაუყოვნებელ პოლიტიკურ მოწესრიგებას, და ამიტომ მიიღო „კონტადორული ჯგუფის" შესაბამისი წინადადებები. მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აქამდე არ დაუჭირა მხარი ამ წინადადებებს, პირიქით, მას საქმე ისე მიჰყავს, რომ კონფლიქტი სამხედრო საშუალებებით გადაწყდეს, აღნიშნა ნიკარაგუის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ფ. ხ. ჩამორო მორამ.

ცენტრალურ ამერიკაში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკა დაგმეს კუბის, უნგრეთის, ლიბიის, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, სირიის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების დელეგატებმა.

ეჭვს არ იწვევს, რომ ცენტრალურ ამერიკაში ვითარების მოწესრიგება უნდა ეფუძნებოდეს რეგიონის შინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის უთუო შეწყვეტასა და მშვიდობიანი მოლაპარაკების მოწყობას, აღნიშნა სსრ კავშირის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ო. ა. ტროიანოვსკიმ. საბჭოთა კავშირი მუდამ მხარს უჭერს იმათ მეცადინეობას, ვინც ისწრაფვის წარმოქმნილი კონფლიქტების მშვიდობიან გადაწყვეტას. ეს მთლიანად ეხება ცენტრალური ამერიკის პრობლემებსაც, უწინარეს ყოვლისა ნიკარაგუის გარშემო შექმნილ სიტუაციას. საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს ნიკარაგუის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტს და მიაჩნია, რომ იგი სამართლიანად ისახავს მიზნად ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობის დაცვას. მხარს უჭერს აგრეთვე „კონტადორული" ჯგუფის ქვეყნების პოზიტიურ მეცადინეობას, მათ მისწრაფებას, რაც შეიძლება სწრაფად დამთავრდეს მოლაპარაკება და მიაღწიონ კონფლიქტის პოლიტიკურ მოწესრიგებას.

ფოტორეპორტაჟი

ესეც შენი ამერიკული „დემოკრატია"

პოლიტიკური ხელკეტი — ერთადერთი „არგუმენტი"

პოლიტიკური ხელკეტი და საპყრობილის კამერა — ამერიკული „დემოკრატიის" არსენალიდან ამოღებულ ასეთ „არგუმენტებს" მიმართავს შეერთებული შტატების ხელისუფლება მშვიდობისათვის მებრძოლთა დასაშინებლად, ქვეყანაში მზარდი ომის საწინააღმდეგო მოძრაობის ჩასახშობად.

სურათზე: ეს ხანში შესული კაცი „წესრიგის დამცველებმა" იმისათვის დაპატიმრეს, რომ მონაწილეობდა ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში, რომელიც კორპორაცია „ჯენერალ ელექტრიკის" ერთ-ერთი ქარხნის (იგი პენტაგონის შეკვეთებზე მუშაობს) შენობის წინ გაიმართა.

აპ-საქდესის ფოტო.

● გფრ

გადადგა ბუნდესტაგის თავმჯდომარე

ბონი. გადადგომა ითხოვა და სავალით გერმანიის ბუნდესტაგის თავმჯდომარემ რაინერ ბარცელმა. ამას იუწყება დპას სააგენტო, რომელიც იმოწმებს ბუნდესტაგში ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ფრაქციის ხელმძღვანელობისაგან მიღებულ ცნობებს. ამ ნაბიჯს აქ უკავშირებენ საქვეყნოდ გახმაურებულ მხილებებს, რომლებიც მოწმობს ბარცელის მონაწილეობას „ფლიკის აფერის" სახელწოდებით ცნობილ მსხვილ პოლიტიკურ სკანდალში.

სამსჯავრო და საპარლამენტო გამოძიების მსვლელობაში, კერძოდ, დადგინდა, რომ ფლიკის სამხედრო-სამრეწველო კონცერნმა „მეორე კაცს სახელმწიფოში" გადაუხადა 1,7 მილიონამდე მარკა, რათა მისი დახმარებით მოეპოვებინა საგადასახადო შეღავათები და უკანონოდ მიეთვისებინა 850 მილიონი მარკა. ადრე „ფლიკის აფერაში" მონაწილეობისათვის იძულებული გახდა მეურნეობის მინისტრის პოსტი დაეტოვებინა ლამბსდორფს.

ადგილობრივ მეთვალყურეთა აზრით, „ფლიკის აფერას" შეიძლება უფრო სერიოზული შედეგები მოჰყვეს იმის გამო, რომ მისი გამოძიების პროცესში ცნობილი გახდა ფაქტები, რომლებიც ამხილებენ მასში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ჰ. კოლის, საგარეო საქმეთა მინისტრის ჰ.-დ. გენშერისა და ბავარიის პრემიერ-მინისტრის ფ.-ი. შტრაუსის მონაწილეობას.

● ანგოლა

სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი

ლუანდა. ანგოლის კვანდო-კუბანგოს პროვინციის სამხედრო ტრიბუნალმა, რომელმაც განიხილა 18 ბანდიტის საქმე, ხუთ მათგანს სასჯელის უმაღლესი ღონისძიება — დახვრეტა მიუსაჯა, დანარჩენებს — ხანგრძლივი ვადის პატიმრობა. ეს პირნი რესპუბლიკის ეკონომიკურ ობიექტებზე აწყობდნენ დივერსიებს, ძარცვავდნენ და ხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

ყველას, ვინც ცდილობს ძირი გამოუთხაროს ანგოლელი ხალხის რევოლუციურ მონაპოვრებს, უდიდესი მსხვერპლის ფასად მოპოვებულ თავისუფლებას, გარდაუვალი შურისგება ელის, ხაზგასმით აღნიშნავს ანგოლის ეროვნული რადიო.

დემოგრაფია

● **ანკარა.** თურქეთის მოსახლეობამ 1984 წლის სექტემბრისათვის 49 მილიონს მიაღწია. 1980 წელთან შედარებით ქვეყნის მოსახლეობა 5,5 მილიონზე მეტით გაიზარდა. ეს ნათქვამია თურქეთის სახელმწიფო სტატისტიკური ინსტიტუტის აქ გამოქვეყნებულ მოხსენებაში. თურქეთის უდიდეს ქალაქებში — სტამბულში — 5,5 მილიონი, ანკარაში — 3 მილიონი და იზმირში — 2,5 მილიონი მოსახლეა.

● **ლისაბონი.** როგორც პორტუგალიის სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტი იუწყება, ქვეყნის მოსახლეობამ 1984 წლის სექტემბრისათვის 9 მილიონ 800 ათასს მიაღწია. მადეირის არქიპელაგის მცხოვრებთა რიცხვი 253 ათასია, ხოლო აზორის კუნძულებისა — 243 ათასი.

● აშშ

მილიტარისტული სულისკვეთებით

სან-ფრანცისკო. საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოყენება რეიგანის ადმინისტრაციის საგარეო-პოლიტიკური კურსის ქვაკუთხედად რჩება. ამას მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის უაინბერგერის გამოსვლა კალიფორნიის ერთ-ერთ თანამეგობრობის კლუბში.

„მშვიდობის საუკეთესო გარანტიაა, — ამტკიცებდა პენტაგონის შეფი, — ძლიერი ამერიკა". მისი აზრით, შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების საკითხში საბჭოთა კავშირთან შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ შეერთებული შტატები „ძლიერი იქნება სამხედრო, ეკონომიკური და მორალური თვალსაზრისით".

უაინბერგერმა სრულიად გასაგებად თქვა, რომ ვაშინგტონი მომავალშიც იმ პოზიციებზე დარჩება, რომლებიც აფერხებს შეიარაღებისადმი კონტროლის პროცესს, და შეეცდება მიაღწიოს ცალმხრივ სამხედრო უპირატესობას სსრ კავშირთან შედარებით.

ვაშინგტონი. ვაშინგტონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა ფარისევლური განცხადებები, თითქოს ისინი „ესწრაფვიან" ძვრას ბირთვული შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ მოლაპარაკებაზე, წმინდაწყლის საარჩევნო დემაგოგიაა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ თვალნათლივ ცხადყო თეთრი სახლის წარმომადგენლის სპიქსის განცხადებამ.

გამართულ რეგულარულ პრესკონფერენციაზე მან პირდაპირ თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ევროპის კონტინენტზე საშუალო სიშორის რაკეტების განლაგების საკითხში „სრულიადაც არ შეცვლილა". ამასთან საყოველთაოდ ცნობილია, რომ სწორედ უახლესი ამერიკული „პერშინგ-2" და ფრთოსანი რაკეტების განლაგების გამო ჩაიშალა ჟენევის მოლაპარაკება ევროპის ბირთვული შეიარაღების საკითხზე.

28 ოქტომბერი საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა დღეა

ეფექტიანი მუშაობის რეზერვები

საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკები თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს აღნიშნავენ და მთელ ქვეყანასთან ერთად ემზადებიან იზეიმონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 67-ე წლისთავი. ღირსეულად და შრომის ჩინებული მაჩვენებლებით ხვდებიან ამ თარიღებს საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლექტივები.

ჩვენთვის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ავტომობილისტებისათვის, მუშაობის სახელმძღვანელო გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სახალხო მეურნეობაში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობის გადიდების, საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის დროს წამატებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და საწვავ-საპოხი მასალების შენახვა-დაცვის უზრუნველყოფის შესახებ".

ავტოტრანსპორტელებმა ენთუზიაზმით დაუჭირეს მხარი პარტიის იმ მოწოდებას, რომ 1984 წელს გეგმის გადამეტებით გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება და შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება. დარგის კოლექტივებმა ხუთწლედის მეოთხე წლისათვის იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი, რომელთა თანახმად შრომის ნაყოფიერების დაგეგმილი მაჩვენებელი 1 პროცენტით უნდა გაზარდონ და ტვირთზიდვის თვითღირებულება 0,5 პროცენტით შეამცირონ. ამ მაჩვენებლების მიღწევა საშუალებას მოგვცემს დამატებით გადავზიდოთ მილიონობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი და გადავიყვანოთ ათმილიონობით მგზავრი, მკვეთრად გავაუმჯობესოთ რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობა.

დარგში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტვირთების ცენტრალიზებული გადაზიდვის გაფართოებას, რომლის ხვედრითი წილი წლის დამლევისათვის 85 პროცენტს მიაღწევს. ხუთწლედის დამდეგიდან გასული წლების მანძილზე ასეთი ტვირთზიდვის მოცულობა 19,8 პროცენტით გაიზარდა. ამ მხრივ აქტიურად მუშაობენ ბევრი სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივები. ისინი ღრმად სრულყოფენ მუშაობას მომსახურებთან და ორგანიზაციებთან ძირითადი ხელშეკრულებების დასადებად და ორმხრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე ამუშავებენ ავტომობილების არაწარმოებლური მოცდენების შემცირების ღონისძიებებს.

ჩვენ ავტომისაბმელებით ტვირთის გადაზიდვის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი რეზერვები გვაქვს. მიმდინარე წელს ავტომისაბმელებით ტვირთზიდვის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 15,5 მილიონ ტონას უნდა მიაღწიოს. მისაბმელებით ტვირთის გადაზიდვის ხვედრითი წილი წინა ხუთწლედის 6,7 პროცენტიდან მიმდინარე ხუთწლედში 9,3 პროცენტამდე გაიზარდა. იმ მისაბმელების 50 პროცენტს, რომლებიც ყოველწლიურად ემატება ჩვენს პარკს, სამინისტრო საკუთარი ძალებით ამზადებს. ამ ბოლო წლების მანძილზე ჩვენში შეიქმნა უნივერსალური საავტომობილო კონტეინერების საკუთარი პარკიც.

მიმდინარე წლის დამლევამდე საკონტეინერო ტვირთზიდვის მოცულობა გათვალისწინებულია 200 ათას ტონამდე გაიზარდოს, რაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს რკინიგზის მუშაობას.

1983 წელს საქართველოს ავტოტრანსპორტელებმა დაიწყეს მიზნობრივი პროგრამის განხორციელება, რომლის მიზანია მთლიანად გავათავისუფლოთ რკინიგზა შიდარესპუბლიკური საკონტეინერო ტვირთზიდვისაგან. მარტო შარშან 1000-ზე მეტი რკინიგზის ვაგონი გამოთავისუფლდა და 400 ათასამდე მანეთი დაიზოგა. მიმდინარე წელს ეს ციფრი მნიშვნელოვნად გაიზრდება. მაგალითად, წლის პირველ ნახევარში ავტოკონტეინერებით გადაზიდული იყო 20,3 პროცენტით მეტი ტვირთი, ვიდრე 1983 წლის იმავე პერიოდში.

დარგში სისტემატურად და შეურიგებლად ვებრძვით ტვირთზიდვის მოცულობათა წამატებებს. ამ მიზნით ხორციელდება დისპეტჩერიზაციის ორგანიზაციის და სატვირთო ავტოტრანსპორტის მუშაობის აღრიცხვის გაუმჯობესების ღონისძიებანი. უფრო მეტი მომთხოვნელობით ვეკიდებით პირველადი საზაზო-სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმებისა და დამუშავების ხარისხს. თბილისის სატვირთო ავტოტრანსპორტის საწარმოო გაერთიანებაში დანერგილია და მოქმედებს პირველადი სატრანსპორტო დოკუმენტაციის ინტეგრირებული დამუშავების სისტემა, რომელიც უფრო ზუსტს ხდის შესრულებული სამუშაოს აღრიცხვას. ახლა მოსამზადებელი სამუშაოები წარმოებს ავტომატური მართვის სისტემის მეორე რიგის შექმნისა და ეტაპობრივი დანერგვისათვის, რომელიც პრაქტიკულად ყველა ავტოსატრანსპორტო გაერთიანებასა და საწარმოს მოიცავს.

მიზანმიმართულ მუშაობას ვეწევით აგრეთვე სათბობისა და საწვავ-საპოხი მასალების რაციონალური გამოყენებისა და მომჭირნე ხარჯვისათვის. მარტო 1983 წელს შესრულებული სამუშაოს ერთეულზე სათბობის ხვედრითი ხარჯის შემცირებამ 6,5 ათასი ტონა ბენზინი და 1,5 ათას ტონაზე მეტი დიზელის სათბობი დაგვიზოგა. მიუხედავად ამისა საწვავის ეკონომიური ხარჯვის საქმეში ჯერ კიდევ დიდი მუშაობა მოგველის.

ავტოტრანსპორტის სამინისტრო რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი გადავიდა სამეურნეო ანგარიშზე, შეამცირა და თვისებრივად გარდაქმნა დარგის მართვის ორგანოები და მისი სტრუქტურული ქვეგანაყოფები. ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ ავტოტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების ამ კურსს და ვახორციელებთ მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ამას წინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცდა, რომ ზესტაფონის ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში მოეწყოს ექსპერიმენტი.

გაერთიანების შესაბამის ფონდებთან ერთად ბალანსზე გადაეცა ის მოძრაობის შემადგენლობა, რომელიც მანამდე ამ რეგიონში განლაგებულ სხვადასხვა სამინისტროს და უწყების 33 ორგანიზაციას და საწარმოს ეკუთვნოდა. ეს გადაწყვეტილება იმით არის დასაბუთებული, რომ რესპუბლიკაში საერთო სარგებლობის ავტომობილების მწარმოებლობა გაცილებით დიდია, ვიდრე საუწყებოსი, ხოლო ტვირთზიდვის თვითღირებულება თითქმის 30 პროცენტით ნაკლებია. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა დაწყებული ექსპერიმენტის შედეგებმა. ზესტაფონის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებისათვის გადაცემული ავტომობილების მუშაობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ავტოტრანსპორტელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და საპატიო ამოცანად რჩება უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეუფერხებელი და ჯეროვანი გადაზიდვა, განსაკუთრებით — მოსავლის მასობრივი აღების პერიოდში. იმისათვის, რომ დროულად და უდანაკარგოდ გადაზიდონ მინდვრის პროდუქცია დამამზადებელ და გადამმუშავებელ პუნქტებში, ავტოსაწარმოთა მშრომელები თავიანთ მუშაობაში იყენებენ შრომის პროგრესულ მეთოდებს.

მინდვრისა და პლანტაციების მშრომელებთან ერთად სატრანსპორტო რაზმებმაც გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს და პირნათლადაც ასრულებენ. ჩინებულ შედეგებს მიაღწიეს თელავის სატვირთო და გურჯაანის ავტოსატრანსპორტო საწარმოს, ლანჩხუთის, მარნეულის, მახარაძის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოებისა და სხვათა მუშაკებმა. მძღოლები დიდ პასუხისმგებლობასა და პროფესიულ ოსტატობას იჩენენ, თავიანთ ღირსეულ წვლილს შეაქვთ ჩაის ფოთლის, ყურძნის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა პროდუქციის აღებისა და ჩაბარების რესპუბლიკური სახელმწიფო გეგმის შესრულებაში.

დარგის მუშაობის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია მგზავრების გადაყვანის შემდგომი განვითარება და სრულყოფა. მგზავრების გადაყვანის ხარისხის გაუმჯობესებისა და დონის ამაღლების ხელს უწყობს ქალაქის ძირითად სამრეწველო რაიონებში სატრანსპორტო ცენტრების ორგანიზაცია, საქალაქო ტრანსპორტის მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვა, აგრეთვე ცენტრალური სადისპეტჩერო სამსახურის საქმიანობა.

ჩვენი მუშაობის ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის მიზნით სამინისტროს კოლეგიამ დაამტკიცა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა, რომელშიც დადგენილია ახალი სამგზავრო ავტოსადგურების ამოქმედების, მოქმედთა რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის დამთავრების, სოფლად ავტოვაგზლებისა და ავტოპავილიონების ახალი პროექტების შემუშავების ვადები.

ახლა სახალხო მეურნეობაში სულ უფრო ფართოდ ინერგება შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმა, აგრეთვე ბრიგადული სამეურნეო ანგარიში.

ბრიგადული იჯარა, რომელიც პირველად სატვირთო ავტოსაწარმოებში გამოვიყენეთ, ფართოდ გავრცელდა სამგზავრო ტრანსპორტშიც. ამ მიმართულებით ჩინებულ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია ყველა სამეურნეოანგარიშიანმა კოლექტივმა. სრულიად სამართლიანად, ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება თბილისის № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს შ. გობეჯიშვილის ბრიგადა და თბილისის № 4 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტობუსების მძღოლთა ბრიგადა, რომელსაც ო. ჯავახიშვილი მეთაურობს.

ავტოტრანსპორტზე ბრიგადულ იჯარას კვლავაც განვავითარებთ. ამჟამად დარგში ორი ათასზე მეტი ბრიგადა მოქმედებს, რომლებიც თითქმის 36 ათას კაცს აერთიანებენ. ამჟამად იჯარით მუშაობს 780 კოლექტივი, რომლებშიც 10 ათასი მძღოლია. სამეურნეო ანგარიშის ფორმას იყენებს დაახლოებით 50 ბრიგადა, რომლებშიც 500 მძღოლია. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ იჯარა კიდევ უფრო უკეთეს ნაყოფს გამოიღებს, თუ მისი მოქმედების სფეროში ჩავრთავთ არა მარტო მძღოლებს, არამედ მომსახურე პერსონალსაც — შემკეთებლებს, დისპეტჩერებსა და დარგის სხვა მუშაკებს.

შრომის მწყობრი და რიტმული ორგანიზაციის საქმეში დარგის ყველა კოლექტივისათვის ორიენტირი გახდა 330 ბრიგადა, რომლებშიც 3,5 ათასი კაცია გაერთიანებული და რომლებმაც დღეისათვის უკვე შეასრულეს ხუთწლედის ოთხი წლის დავალება. გეგმის შესრულება პირველებმა გვიპატაკეს ჩვენმა მოწინავეებმა — სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ემნაძემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ე. ახალკაციშვილმა, მძღოლებმა ა. კოხიევმა, შ. გეგეჭკორმა, გ. გიორგაძემ, ი. დოდელიამ, დ. ოქროცვარიძემ, დ. კაციტაძემ, ე. წალუევმა, ვ. თორაძემ, ბ. გელაშვილმა, ბ. ჯიბუტმა, თ. მამულოვმა, გ. მეგრელიშვილმა, ი. მეფარიშვილმა, ვ. ცხოვრებოვმა, ო. მახარიამ, გ. დვალმა, ნ. ტუღუშმა, დ. ტყეშელაძემ, თ. თოფურიამ და სხვებმა.

უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ ბევრი ჩვენი მძღოლი ზნეობრივ ნამდვილ შრომით გმირობას იჩენს, როცა ფიზიკური და ფსიქოლოგიური გადამეტტვირთვის ურთულეს პირობებში მუშაობს. მძღოლთა შრომას რომ შეეხო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ქალაქში ინტენსიური მოძრაობის პირობებში საჭესთან ერთი საათის მუშაობა მძიმე ფიზიკური შრომის ექვს საათს შეესაბამება და ამიტომ ამ პროფესიის ადამიანებზე დღენიადაგ უნდა ვზრუნავდეთ. წლების მანძილზე ავტოტრანსპორტელთა შრომის პირობების გაუმჯობესებისა და მატერიალური სტიმულირების საკითხებს რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. ბევრი საკითხი ძირითადად დადებითად გადაიჭრა. თუმცა კადრებით დარგის შევსების პრობლემა ჯერ კიდევ მწვავედ დგას.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ჯერჯერობით ყველა რეზერვი როდია გამოყენებული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის სატრანსპორტო საჭიროებათა სრული დაკმაყოფილებისათვის. ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა უნდა გადაიჭრას იმისათვის, რომ სასურველ დონეს მივაღწიოთ. კრიტიკულად შევაფასოთ გაწეული მუშაობა — ამას გვავალებს ის დიდი და პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც ავტოტრანსპორტელებს დაუსახა პარტიის XXVI ყრილობამ.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლექტივები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ საგეგმო დავალებანი. ხუთწლედის დამდეგიდან გასული წლების მუშაობის შედეგები რწმენას გვინერგავს, რომ დარგის მუშაკები წარმატებით გაართმევენ თავს დასახულ ამოცანებს, ვადამდე შეასრულებენ მთლიანად ხუთწლედისა და მისი მეოთხე წლის გეგმასა და სოციალისტურ ვალდებულებებს.

თ. დავითაშვილი,
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი.

რას იტყვის 240 ათასი კაცი?

მოვლენის წინ

1985 წლის იანვარში ქვეყანაში მოეწყობა მოსახლეობის შერჩევითი სოციალურ-დემოგრაფიული გამოკვლევა. მისი მომზადება და განხორციელება დავალებული აქვთ სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, მის ორგანოებს რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ქალაქებსა და რაიონებში. ჩვენს რესპუბლიკაში გამოკვლევა შეეხება მოსახლეობის ხუთ პროცენტს, ანუ საქართველოს სსრ 240 ათას მცხოვრებს. მისი მეოხებით დადგინდება უკანასკნელი საკავშირო აღწერის (1979 წ.) შემდეგ მოსახლეობის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები, მივიღებთ საჭირო ინფორმაციას ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და უფრო ხანგრძლივი პერსპექტივის გეგმების შესამუშავებლად.

ბოლო წლებში ქვეყანაში შექმნილია არახელსაყრელი დემოგრაფიული სიტუაცია. ჩვენს რესპუბლიკაში გასული 23 წლის მანძილზე მოსახლეობის ბუნებრივი მატება თითქმის ერთიორად შემცირდა. ცალკეულ რაიონებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო ნაკლებია, ხოლო სხვებში — ამბროლაურის, ონის, თერჯოლის, ცაგერის რაიონებში მოსახლეობა საერთოდ კლებულობს.

სტატისტიკამ აღნიშნა ასეთი საგანგაშო ფაქტიც: მკვეთრად კლებულობს მრავალშვილიანი ოჯახების რიცხვი. 1970 წელთან შედარებით 1983 წელს იგი ერთიორად შემცირდა.

ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების საკითხებს მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სკკპ XXVI ყრილობაზე. მისი გადაწყვეტილებანი კონკრეტულად აისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „ბავშვიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ", პარტიისა და მთავრობის სხვა დადგენილებებში. მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად, დედებს, რომლებიც მუშაობენ ან წარმოებას მოწყვეტით სწავლობენ, ბავშვის დაბადებისას ეძლევათ ერთდროული დახმარება. გათვალისწინებულია მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების გაწევის მთელი რიგი სხვა დამატებითი ღონისძიებანიც.

სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ მომავალ გამოკვლევაში დიდი ადგილი ეთმობა ძირითად ფაქტორს — შობადობის შესწავლას, რომელიც განსაზღვრავს დემოგრაფიულ სიტუაციას. კერძოდ, ვეძიებთ მივიღოთ მონაცემები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ის ძირითადი მიზეზები, გავლენას რომ ახდენენ შობადობის დონეზე. ეს კი შეგვაძლებინებს შევიმუშაოთ და განვახორციელოთ უფრო ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკა.

ეს პრობლემა ეხება არა მარტო ქალაქს, არამედ სოფელსაც. თანამედროვე სოფელი მოითხოვს განსაკუთრებულ გამოკვლევას. რა დასამალია: ისედაც რთულ დემოგრაფიულ სიტუაციას აქ კიდევ უფრო ართულებს მიგრაციული პროცესები, სოფლის მოსახლეობის ქალაქებში გადასახლება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ქვეყანაში ხორციელდება დიდი ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს ამ მდგომარეობის მოწესრიგებას. უმჯობესდება სოფლის მოსახლეობის ცხოვრების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები: დაჩქარებული ტემპით შენდება კეთილმოწყობილი ბინები, სკოლები, სკოლამდელი ბავშვთა დაწესებულებები, კლუბები, უმჯობესდება სამედიცინო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება.

ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ჩვენი რესპუბლიკის მაგალითი. სიცოცხლე უბრუნდება ოდესღაც მიტოვებულ სოფლებს, ხორციელდება რესპუბლიკის მთის რაიონების დაჩქარებული განვითარების დიდი ღონისძიებები. მარტო მეთერთმეტე ხუთწლედის სამ წელიწადში სოფლად საექსპლოატაციოდ გადაეცა 46 ათასი მოსწავლისათვის გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, 5,3 ათას ადგილიანი სკოლამდელი ბავშვთა დაწესებულებანი, საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა ამ პერიოდში 37 პროცენტით გაიზარდა (ქალაქის 21,7 პროცენტთან შედარებით). მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება სოფლის მოსახლეობის სამედიცინო, კომუნალური, სავაჭრო და სატრანსპორტო მომსახურების დარგში.

ამასთან ერთად ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა. გამოკვლევის მასალები ხელს შეუწყობს მათი გადაწყვეტის დაჩქარებას, დაგვეხმარება მივიღოთ მნიშვნელოვანი მონაცემები, რომლებიც საჭიროა შრომითი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენებისათვის.

გამოკვლევა ითვალისწინებს აგრეთვე საზოგადოებრივი აზრის შესწავლას. კერძოდ, უნდა განვსაზღვროთ პრიორიტეტები სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში.

შერჩევითი სოციალურ-დემოგრაფიული გამოკვლევის მნიშვნელობა მარტო აქ მოყვანილი მაგალითებით როდი ამოიწურება. მიღებულ და განზოგადებულ ინფორმაციას გამოვიყენებთ მრავალი სხვა პრაქტიკული და მეცნიერული ამოცანის გადაწყვეტისათვის.

გამოკვლევა შეეხება რესპუბლიკის ყველა რაიონსა და ქალაქს, გარდა ყაზბეგის, ლენტეხის, მესტიისა და ჯავის რაიონებისა, რომლებთანაც იანვარში დაკავშირება გაძნელებულია.

ამ დიდი საერთო-სახელმწიფოებრივი ღონისძიების წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საქმის კვალიფიციურ მომზადებასა და მისი ორგანიზაციის დონეზე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები დაგვეხმარებიან, უწინარეს ყოვლისა, შესაბამისი კადრების შერჩევასა და მათთვის ნორმალური პირობების შექმნაში, მოსახლეობას შორის მასობრივ-განმარტებითი მუშაობის განხორციელებაში.

რ. ბასარია,
საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

(საქინფორმი).

შენ გიმღერი, ჩემო თბილის-ქალაქო

ულამაზესი სანახავია შემოდგომის ფერებით განხეთისნებული საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული დედაქალაქის ქუჩები თუ მოედნები, ბაღები თუ სკვერები. საგანგებოდ დიდხანს ემზადებოდნენ თბილისელები ამ დღესასწაულისთვის, რომელიც ერთგვარ დათვალიერებად იქცევა ხოლმე იმ დიდი გარჯისა, ჩვენმა მშრომელებმა განვლილ ერთ წელიწადში რომ გასწიეს.

ყოველივე ეს ხომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის უდიდესი ზრუნვის შედეგია. ამას ვხედავთ და ვგრძნობთ და თითოეული ჩვენგანიც მზად არის გააკეთოს ყველაფერი, რასაც მშობლიური პარტია მოგვიწოდებს.

წლეულს მეცამეტედ ვზეიმობთ თბილისობას, და ამ ზეიმს კიდევ მეტ შნოსა და ლაზათს მატებს მოახლოებული დიდი ოქტომბრის 67-ე წლისთავის დღესასწაული, რომლის შესახვედრადაც საგანგებოდ ემზადებიან ჩვენი შრომითი კოლექტივები.

ფართო და მრავალმხრივია თბილისობის პროგრამა. იგი იწყება 27 ოქტომბერს. ამ დღეს დედაქალაქი ფართოდ გაუღებს ყველა კარიბჭეს შორ-ახლოდან ჩამოსულ სტუმრებს. ბარაქიანი შემოდგომა დაისადგურებს ქალაქის ყველა კუთხეში.

კახეთის, ქართლის, სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა, აგრეთვე საქართველოს ყველა რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა საგანგებოდ შეარჩიეს ხილბოსტნეულის ფართო ასორტიმენტი. საქონლისა და ღორის ხორცი, ფრინველი, თაფლი, მაჭარი, სიმინდის ფქვილი, ყველი, კაკალი, ციტრუსები — ყველაფერი უხვად იქნება ბაზრობებზე.

დილის ათი საათიდან თბილისის ძველი რაიონში დაიწყება სადღესასწაულო საშემოდგომო ბაზრობა.

27 ოქტომბერს, დღის 12 საათზე გაიმართება სადღესასწაულო რიტუალების სახლის საზეიმო გახსნა. ბედნიერების სასახლეს ამშვენებს ომახიანი ქართული ჰანგები; ქორწილები, სიხარული, ჯანმრთელობა, მშვიდობა და გამრავლება ვუსურვოთ ბედნიერ წყვილებს.

13 საათზე ძველი თბილისის მშვენება — განახლებული ქარვასლა, სადაც დაიდო ბინა თბილისის გრიშაშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა, ფართოდ გაუღებს კარს პირველ სტუმრებს. რამდენი საინტერესო დოკუმენტი, ფოტოსურათი თუ არქეოლოგიური მონაპოვარი იქნება ქარვასლის ვრცელ დარბაზებში გამოფენილი!

დღის 15 საათზე კი საკონცერტო პროგრამას უჩვენებს მარიონეტების თეატრი თავის ახალ შენობაში.

ყოველი ზეიმი ჩვენს ქალაქში მისი გულიდან — ლენინის მოედნიდან იწყება და მერე ყველა ქუჩას, უბანს მოედება. ასე იქნება 28 ოქტომბერსაც.

დილის ათ საათზე ვ. ი. ლენინის ძეგლთან მოვლენ დედაქალაქის წარმოების მოწინავეები, ჩვენი გმირი მუშათა კლასის წარმომადგენლები, შემოქმედებითი კოლექტივები, საპატიო სტუმრები, რომლებიც ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან თბილისელთა სიხარულის გასაზიარებლად და გვირგვინებით შეამკობენ ვ. ი. ლენინის ძეგლს.

ათი საათიდან სახალხო დღესასწაული მთელ ქალაქში გადაინაცვლებს. ლენინის რაიონში ზეიმი თბილისის ზღვასთან დაიწყება, და შემდეგ რაიონის მრავალ მოედანზე გაიმართება. აქ თბილისელებთან ერთად თავიანთ ხელოვნებას წარმოაჩენენ თიანეთის, მახარაძის, გეგეჭკორის, ჩოხატაურის, ხაშურის და სამტრედიის მშრომელები.

გლდანის რაიონში სადღესასწაულო ზეიმი მეხუთე და მეექვსე მიკრორაიონებს შორის მდებარე სკვერში მოეწყობა. გლდანის თვითშემოქმედ კოლექტივებთან ერთად კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ტყიბულის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ლაგოდეხის, ახმეტის და სხვა რაიონების მსახიობები.

პირველი მაისის რაიონი სადღესასწაულო სანახაობას საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე წარმოადგენს. საერთო ლხინის მონაწილენი იქნებიან სიღნაღის, ყაზბეგის, ცხინვალის, ლენინგორის, ჯავის, ზნაურის, ქუთაისის და მაიაკოვსკის თვითმოქმედი კოლექტივები.

ოქტომბრის რაიონის მცხოვრებთა სტუმრები არიან ლენტეხის, ბოლნისის, ლანჩხუთის, თერჯოლის, ხობის, ჭიათურის შემოქმედებითი კოლექტივები.

ასევე საზეიმო კონცერტები გაიმართება კალინინის, კიროვის, ორჯონიკიძის, საბურთალოს, 26 კომისრისა და საქარხნო რაიონებში.

დილის 11 საათზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე გაიმართება მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა პატივგების ცერემონიალი. ზეიმის დევიზი კვლავ იქნება „შრომის დღესასწაული".

წლევანდელ აქ გამართულ ზეიმს სიახლეც ახლავს — პირველად მოხდება ახალგაზრდა სწავლულთა დაჯილდოება.

დღის 12 საათზე კუს ტბის ფერდობზე გაშლილ ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმში ხალხური პოეზია იდღესასწაულებს. აქ ხალხურ მთქმელებთან ერთად თავიანთ ნახელავს გამოფენენ ხელსაქმის ოსტატები, გაიმართება შეხვედრები ალორძინებული სოფლების ახალგაზრდობასთან, მოხდება აგრეთვე „რთველი-84"-ის მოწინავე სტუდენტური რაზმების დაჯილდოება.

13 საათზე ძველი ქალაქის განახლებულ აბანოთუბანში შრომის, მეგობრობისა და ძმობის სახალხო დღესასწაულზე — „ოქროს შემოდგომა თბილისში" — გაიმართება თბილისის საპატიო მოქალაქეთა არჩევის საზეიმო ცერემონიალი.

მოზეიმეთა დიდი ნაკადი მიაშურებს ძველი თბილისის უბნებს. აქ ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე, ანჩისხატის მოედანზე, რიყეზე წარმოგვიდგენენ ხალხური ყოფის ამსახველ სურათებს, თეატრალიზებულ წარმოდგენა-ბერიკაობას.

ბავშვები კვლავ ერთმანეთს შეეჯიბრებიან თავიანთი ნახატების გამოფენაზე, დევიზით — „დაე, მუდამ იყოს მზე!".

15 საათზე თბილისის იპოდრომზე მოეწყობა სპორტული დღესასწაული, შეჯიბრება ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში.

18 საათზე რესპუბლიკის მოედანი უმასპინძლებს დედაქალაქის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. მათთვის აქ გაიმართება „შემოდგომის რიტმები", პოლიტიკური სიმღერების საღამო და გამარჯვებულთა დაჯილდოება.

ზეიმის დასასრულს, ღამით თბილისის ცას სადღესასწაულო ფეიერვერკი გააჩირაღდნებს.

კარგ სადღესასწაულო გუნებას გისურვებთ, ძვირფასო თბილისელებო და ჩვენო სტუმრებო!

... განახლებული აბანოთუბანი.   ... ფოტო.

ახალი სეზონი: გეგმები, ფიქრები

საინტერესო შეხვედრების მოლოდინში

დღეს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ხსნის თავის მორიგ, ახალ სეზონს. იმაზე, თუ რა სიახლეებს გვპირდება წლევანდელ თეატრალურ სეზონში სახელოვანი თეატრის კოლექტივი, მოგვითხრობს თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლილი ფოფხაძე:

ახალ თეატრალურ სეზონს ისევ პროფკავშირთა კულტურის სასახლეში ვხსნით. ყოველი ახალი სეზონი ახალ შთაბეჭდილებებთან, ახალ განცდებთან არის დაკავშირებული.

ჩვენმა მაყურებელმა იცის, რომ ამ სეზონში დასს მუშაობა უნდა განეგრძო შექსპირის „მეფე ლირზე". შექსპირთან ამ მორიგ შეხვედრას ინტერესით ელიან არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

დიდ სამამულო ომში გამარჯვების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით თეატრმა გადაწყვიტა იმუშაოს მ. კვესელავას „ასერგასის დღეზე" და მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერაზე". სწორედ ამის გამო „მეფე ლირზე" მუშაობა დროებით გადაიდო. მაყურებელს შეუძლებელია არ გაუჩნდეს ინტერესი ამ ორი ნაწარმოებისადმი. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ომის თემაზე შექმნილი ის უაღრესად საინტერესო დოკუმენტური მასალა, რომელსაც მოიცავს „ასერგასის დღე", რომლის მიხედვითაც პიესა შექმნა მწერალმა თამაზ გოდერძიშვილმა. ამ სპექტაკლს დგამს თეატრის მთავარი რეჟისორი რობერტ სტურუა, ხოლო „ხარატაანთ კერაზე" იმუშავებს ახალგაზრდა რეჟისორი ოთარ ეგაძე.

წლევანდელი სეზონის საინტერესო სიახლე ის გახლავთ, რომ სეზონს ვხსნით ახალგაზრდა დრამატურგის შადიმან შამანაძის პიე- [illegible]

დაფნის გვირგვინით შეამკეს მაია ჩიბურდანიძე

ვოლგოგრადი, 25 ოქტომბერი. (საქდესის კორ.). ვოლგისპირა ქალაქში საზეიმოდ დაიხურა ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო პირველობის მატჩი. მსოფლიო ჩემპიონობა კვლავ, უკვე მესამედ, მოიპოვა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, საერთაშორისო დიდოსტატმა მაია ჩიბურდანიძემ. ირინე ლევიტინასთან ძნელ მატჩში, რომელიც თვე-ნახევარს გრძელდებოდა, მან გაიმარჯვა ანგარიშით — 8,5:5,5.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა ფლორენსიო კამპომანესმა დაფნის გვირგვინით შეამკო ჩემპიონი და აღნიშნა მისი და სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის წვლილი ჭადრაკის განვითარებაში. მან ხაზი გაუსვა, რომ ჭადრაკი სსრ კავშირში პოპულარული სახეობის სპორტია. ამიტომაც საბჭოთა მოჭადრაკეებს წამყვანი პოზიციები უკავიათ საერთაშორისო ასპარეზზე. საბჭოთა კავშირში, თქვა ფიდეს პრეზიდენტმა, ამ თამაშის განვითარებას ემსახურება მრავალი ორგანიზაცია — სპორტული, პროფკავშირული, კომკავშირული, ამასთან — ყველა დონეზე — საოლქო იქნება ეს, თუ საკავშირო, ამით აიხსნება საბჭოთა საჭადრაკო სკოლის წარმატება.

მსოფლიო ჩემპიონს გულთბილად მიულოცა სკკპ ვოლგოგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. კალაშნიკოვმა.

შემდეგ გამოვიდა მაია ჩიბურდანიძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა მატჩის ორგანიზატორებს, სტუმართმოყვარე ვოლგოგრადელებს და ყველა ჭადრაკის მოყვარულს.

ჟურნალისტებთან საუბარში სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ჭადრაკის სამმართველოს უფროსმა ნ. ვ. კროგიუსმა დაასახელა საბჭოთა კავშირის ქალთა გუნდის წევრები, რომლებიც ნოემბერში მონაწილეობას მიიღებენ სალონიკის (საბერძნეთი) საჭადრაკო ოლიმპიადაში. მას სათავეში ჩაუდგება მაია ჩიბურდანიძე, ძირითად შემადგენლობაში კი შეყვანილი არიან ირინე ლევიტინა, ლიდია სემიონოვა და ნონა გაფრინდაშვილი. სათადარიგო მონაწილეები იქნებიან ნანა იოსელიანი, ნანა ალექსანდრია და ელენე ახმილოვსკაია.

სამგზის ჩემპიონი თბილისშია

სახელდახელო ინტერვიუ თვითმფრინავის კიბესთან

გუშინ ვოლგოგრადიდან თბილისში დაბრუნდა სამგზის მსოფ- [illegible]

„მრისხანება" ხოხატაურში:

[illegible]

ფიმნის თარო

ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ

ხელნაწერების ერთმა, მცირე, ნაწილმა ქრისტიანული კულტურის ისტორიის უდიდეს ავტორიტეტულ მკვლევარს.

ქართული ხელნაწერების ხნო- [illegible]

ვიწვევთ პრემიერით

[illegible]

შლოცავენ:

[illegible]

სატურნირო ორბიტა

[illegible]